

Sps “sainJinro nagebobaTa proeqtirebis, kvlevis da eqspertizis samecniero centri”
LTD “THE SCIENTIFIC CENTER OF ENGINEERING BUILDING DESIGNING RESEARCH AND EXPERTISE”

Tbilisi, Tamar mefis gamziri 5a Tamar Mefis gam 5a, Tbilisi, Georgia

23 ოქტომბერი 2020 წელი № 2020-53

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ბაგები-წყნეთის გზატკეცილი, სტუდქალაქისმიმდებარედ, ნაკვეთი 07/045, ს/კ 01.14.06.007.045 მშენებარე ავტოფარეხის კონსტრუქციული პროექტის შესახებ

ქ.თბილისში, ბაგები-წყნეთის გზატკეცილი, სტუდქალაქის მიმდებარედ, ნაკვეთი 07/045-ზე, ს/კ 01.14.06.007.045 მშენებარე ავტოფარეხის კონსტრუქციული პროექტი დამუშავებულია შპს " Niran Properties Development "-ს მიერ 2020 წელს.

საექსპერტოდ დამკვეთის მიერ წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

ა) ქ.თბილისში, ბაგები-წყნეთის გზატკეცილი, სტუდქალაქის მიმდებარედ, ნაკვეთი 07/045-ზე, ს/კ 01.14.06.007.045 მშენებარე ავტოფარეხის არქიტექტურული პროექტი ნახაზების ელექტრონული ვერსიები ,, ,,dwg,, და ,,pdf,,, ფაილები.

ბ) ავტოფარეხისკომპიუტერული საანგარიშო მოდელის ელექტრონული ვერსია (საანგარიშო კოპლექსი ლვლა შაჰღ 2017, ფაილი სახელით: ბაგები_პარკინგ.ლირ)

გ)ავტოფარეხის შენობის მონოლითური რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციათა ტექნიკური გადაწყვეტები. მათ შორის, საძირკვლის კონსტრუქციები: ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებისა და მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის,სვეტების, კედლების, კიბეებისა და სართულშუა გადახურვების კონსტრუქციათა სამონტაჟო სქემები, კონსტრუქციების საყალიბე და ბეტონის მზიდი ელემენტების დაარმატურებისათვის საჭირო საშემსრულებლო ნახაზები, მათი არმირებისა და კვანძების გადაწყვეტათა ტექნიკური დოკუმენტაცია....

დ)საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები, რომელიც დამუშავებული იქნა შპს ,,გეოინჟკომპლექსი”-ს მიერ 2020 წელს ინჟინერგეოლოგ ა.პასიკაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით.

დამკვეთის დავალების საფუძველზე, წარმოდგენილი მასალების მიხედვით შესამოწმებელია, შპს""Niran Properties Development "-სმიერ წარმოდგენილიავტოფარეხის შენობის კომპიუტერული საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული პროექტი ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

შენობის დაფუძნება:

პროექტის მიხედვით შენობა 1000 მმ დიამეტრის რკინაბეტონის ხიმინჯებით ეფუძნება ძირითადქანებს (მსხვილნატეხოვანი გრუნტი (სგე-3), რომლისთვისაც სიმტკიცის ნორმატიული ზღვარი ერთღერძა კუმშვაზემიღებულია R_c =75 კგძ/მ2. იხ. გეოლოგიური დასკვნა).

ავტოფარეხის შენობის მზიდი კონსტრუქციების ზოგადი აღწერა:

ავტოფარეხის შენობა 2-სართულიანია, რომლის ნაწილი რელიეფის გამო ნაწილობრივად მიწის ქვეშ არის მოქცეული. საპროექტო შენობა წარმოადგენს ჩარჩოკავშირებიან მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებს, რომლის მზიდი ელემენტებია:რკინაბეტონის მონოლითური სვეტებიგანივი კვეთის ზომებით40X40 სმ. მონოლითური რკინაბეტონის რიგელები განივი კვეთის ზომებით 40X50სმ;. დიაფრაგმები სისქით h=30 სმ; h=40;სმ, მიწისქვეშა სართულის შემომზღუდავი მოლოლითური რკინაბეტონის h=30 სმ სისქის კედლები, რომელზეც გრუნტის მხარეს გათვალისწინებულია ჰიდროიზოლაციის მოწყობა; გადახურვის მონოლითური რკინაბეტონის ფილები სისქით h=20სმ.რკინაბეტონის პანდუსები სისქით: h=20სმ. შენობის საძირკვლის ტიპად მიღებულია 1000 მმ დიამეტრის ხიმინჯები და 400 მმ სისქის რკინაბეტონის ფილა.

ავტოფარეხის შენობისკომპიუტერული საანგარიშო მოდელის აღწერა:

მთლიანად, შენობის როგორც ერთიანი სივრცული კარკასულ-კავშირებიანი სისტემის გაანგარიშება სასრულ ელემენტთა მეთოდით მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე ჰორიზონტალურ 9 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე ჩატარებულია ლიცენზირებული პროგრამული კომპლექსის „LIRA SAPR 2017“-ის საფუძველზე.

საანგარიშო მოდელში სტატიკური და დინამიკური დატვირთვები წარმოდგენილია შემდეგი დატვირთვების სახით:

1. *სტატიკური მუდმივი. (საკუთარი წონა+იატაკის ,,სენდვიჩის,, წონა+ტიხრების წონა)*
2. *სტატიკური დროებითი ხანგრძლივი.*
3. *სტატიკური დროებითი ხანმოკლე. (სასარგებლო დატვირთვები)*
4. *სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) ,,X,, მიმართულებით.*
5. *სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) „Y“ მიმართულებით.*

შენობის მზიდი ელემენტების ანგარიში შესრულებულია ძალვათა ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე. დინამიური დატვირთვები შეხამების ცხრილში განხილულია როგორც ურთიერთგამომრიცხავი. დინამიური ზემოქმედებისას საანგარიშო მოდელში გათვალისწინებულია რხევის 10 ფორმა.

საექსპერტოდ წარმოდგენილი საანგარიშო მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზი დან შენობის რხევის პერიოდი მიღებულია 1.74 წმ. სეისმური მასების მონაწილეობის ფაქტორი 84.4% შეადგენს.
საძირკვლის ფილის მაქსიმალური ვერტიკალური დეფორმაცია საანგარიშო დატვირთვათა ძირითადი შეხამებისას შეადგენს 3.8 მმ-ს; მინიმალური3.17მმ-ს, ხოლო საშუალო 3.48 მმ-ს;
შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური დეფორმაციები ,,X,, მიმართულებით განსაკუთრებული შეხამებისას შეადგენს -0.6მმ-ს; ხოლო „Y“ მიმართულებით -0.46მმ-ს;
ანგარიშით მიღებული შედეგები აკმაყოფილებენ ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო და სესმური ნორმების მოთხოვნებს, მაქსიმალური გადაადგილებები და დეფორმაციები დასაშვების ფარგლებშია.
კონსტრუქციულ პროექტში მიღებული მზიდი კონსტრუქციების გეომეტრიული პარამეტრები, ბეტონის კლასი და არმირებები შეესაბამება საანგარიშო მოდელის პარამეტრებს. ნახაზები შესრულებულია შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

დასკვნა:

შპს ""Niran Properties Development "-ს მიერ წარმოდგენილი ავტოფარეხის შენობის კომპიუტერული საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული მუშა ნახაზები შესრულებულია მაღალ ტექნიკურ დონეზე და პასუხობს ქვეყანაში მოქმედ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. კონსტრუქციული ელემენტების არმირებები შეესაბამება კომპიუტერული საანგარიშო მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის საფუძველზე მიღებულ არმირებებს და შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შენობა აკმაყოფილებს მდგრადობის და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნეს. პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება

ექსპერტი: *დ.ტაბატაძე*

ქ. თბილისი,
23.10.2020

ექსპერტი დემური ტაბატაძეს

დეკლარაცია

ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული საქმიანობის შესახებ არის სწორი, რასაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

/დ. ტაბატაძე/



სრული პროფესორი დემური ტაბატაძე

(CV)

სტუ-ს საინჟინრო მექანიკისა და ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	კოსტავას ქ. № 68, სტუ-ს I სასწავლო კორპუსი, IV სართული, ოთახი ბ-430
ეროვნება	ქართველი
დაბადების თარიღი, პ/№	1949 წლის 23 ივლისი, პ/ნ01009021555
ოჯახური მდგომარეობა	ცოლშვილიანი

საკონტაქტო ინფორმაცია

ქვეყანა, ქალაქი		საქართველო, ქ. თბილისი
მისამართი		ქ. თბილისი, აბაშიძის 41.ბინა17
PHONE/FAX	სამ.	60-30 36-35-06
	ბინა	+(99532) **2227704**
	მობ.	599 179823
E-mail:		demuritabatadze@yahoo.com; demuri 10@ mail.ru.

კვალიფიკაცია

- ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, „სამშენებლო მექანიკა“, მოსკოვის სამშენებლო საინინრო ინსტიტუტი 1983 წ. 28ოქტომბერი დისერტაცია „მილსადენების დინამიკური ანგარიში საყრდენებზე მშრალი ხახუნის გათვალისწინებით“. ხელმძღვანელი პროფესორი მ. სობოლევი.
- ინჟინერ მშენებელი, ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1971 წლის ივნისი. თემა: „ლითონის კონსტრუქციებისგნ შედგენილი სტრუქტურული გადახურვის ანგარიში“. ხელმძღვანელი პროფ. კ. რაზმაძე.

განათლება

- 1974-1978 წწ. ასპირანტურა, მოსკოვის ვ.ვ. კუიბიშევის სახელობის სამშენებლო საინჟინრო ინსტიტუტი. სამშენებლო მექანიკის კათედრა.
- 1966-1971 წწ. ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი. წარჩინებით.

პედაგოგიური აქტივობა: (სალექციო კურსები)

- სამშენებლო მექანიკა (ბაკალავრიატი),
- სეისმომედეგობა (ბაკალავრიატი).
- თხელკედლიანი სივრცითი სისტემები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა)
- სამშენებლო მექანიკის სპეცკურსი (მაგისტრატურა).

სამეცნიერო აქტივობა:

- ფილებისა და გარსების ოპტიმალური დაგეგმარება.
- დრეკად-პლასტიკური სისტემების და ანაკრები კონსტრუქციების ზიდვის უნარის საკითხები.
- ფილებისა და გარსების გაანგარიშების საკითხები მათი გეომეტრიული და ფიზიკური მახასიათებლების ნახტომისებური ცვლილებების გათვალისწინებით.
- სამფენოვანი ფირფიტებისა და გარსების გაანგარიშება მასალის დრეკად-პლასტიკური თვისებების გათვალისწინებით.
- შენობების, როგორც დისკრეტულ-კონტინუალური სისტემების გამოკვლევა, მიწისძვრისას აღძრული იმპულსურ ზემოქმედებაში.

საზოგადოებრივი საქმიანობა

- პროფბიუროს მდივანი.
- ფაკულტეტის სასწავლო-მეთოდური კომისიის წევრი.
- ფაკულტეტის საბჭოს წევრი,
- ფაკულტეტის დიპლომების დაცვის სახელმწიფო კომისიის წევრი.
- დისერტაციის დაცვის კომისიის წევრი.
- საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი.
- საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ კორესპოდენტი

სამუშაო გამოცდილება

1971-75 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი ინჟინერი.

1975-83 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი ტექნიკური სექტორის ხელმძღვანელი.

1992-2009 – ს.ს.ი.პ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

2009 – ს.ს.ი.პ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

1992-2006 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამ-შენებლო და სეისმომედეგობის კათედრის დოცენტი.

2006-2013 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშე-ნებლო და სეისმომედეგობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

2008-დღემდე – შპს „მშენ-ექსპერტი“

გამოცდილება	პროექტი 249. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი. თემა „მიწისძვრისას კარკასულ შენობების სვეტებში დარტყმის ეფექტის გათვალისწინება“ 2007-2008 წ. ძირითადი შემსრულებელი. პროექტი 5526. „ნავთობის ნათელი ფრაქციების გამოსავლიანობის გაზრდა და მათი გაკეთილშობილება“. 2.1. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია МНТЦ. პროექტი 5486. „მინერალური ზეთების წარმოება და ნამუშევარი მოტორული ზეთის რეგენერაცია“. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია МНТЦ. პროექტი 5464. „ექსტრემალური ჰიდროდინამიკური მოქმედებების პროგნოზირება ჰიდროსისტემებში და გარემის დაცვა“. თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია МНТЦ. 2002-2013 წლების განმავლობაში მრავალი შენობა-ნაგებობის ექსპერტიზა.მდგრადობის გამოკვლევა, ნაგებობათა ურთიერთ გავლენის გამოკვლევა მშენებლობის პროცესში.
ენები	ქართული – მშობლიური რუსული – კარგად ინგლისური – ლექსიკონის დახმარებით
კომპიუტერული პროგრამები	Windows Ms Word Ms Excel Internet Explorer AutoCAD Лира.

ცნობა

ბოლო 5 წლის მანძილზე პროფესორ დემური ტაბატაძის საექსპერტო საქმიანობის თაობაზე, სამშენებლო კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევასა და ექსპერტიზაში

№	სამუშაოს დასახელება	წელი	დამკვეთი
1	*2*	*3*	*4*
1	ქ. თბილისში კაიროს ქ. №38-ში მდებარე სამრეწველო შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს „ორდი“
	ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №5ა-ში მდებარე „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობის ე.წ. სტუდიური ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
	ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზირის I ჩიხის №2^{2ა} მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის და კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერო დასკვნის მომზადება.	2009	მოქალაქე ვასილ სოხაძე
	ქ. რუსთავში მშვიდობის ქ. №12 ქიმბოჭკოს ტერიტორიაზე ტყავის წარმოების საამქროების და ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.	2009	შპს „ფილიმასკა.ჯი“
	ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე ავტოგასა-მართი სადგურის და ავტოსახელოსნოების ნაგებობე-ბის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;	2009	–
	ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის №33ბ-ში მდე-ბარე რვასართულიან ორ სადარბაზოიანი შენობაზე განხორციელებული მინაშენის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ვიზუალური დათ-ვალიერებით	2009	ბმა ამხანაგობა
	ქ. თბილისში შეშელიძის ქ. №41-ში მდებარე ნაკვეთის და ნაკვეთში აშენებული შენობის ტექნიკური ექსპერ-ტიზა;	2009	მოქალაქე ზაურ ბიწაძე
	ქ. რუსთავში XIV მკ/რ-ში მდებარე შპს „იკორთა-2007“-ის კუთვნილი 54 ბინიან 9 სართულიან მსხვილ	2009	შპს „იკორთა 2007“

1	*2*	*3*	*4*
	ბლოკოვან სახლზე სართულის დაშენების პროექტის ექსპერტიზა;		
	ქ. თბილისში კაიროს ქ. №38-ში მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;	2009	–
	ქ. თბილისში პეკინის ქ. №23, II სართ. ბ.2-ის მიშენების ტექნიკურ მდგომარეობის გამოკვლევა;	2009	მოქალაქე ვ. შარაბიძე
	ქ. თბილისში წყნეთის ქ. №14-ში მდებარე კორპუსის, I სადარბაზოს ბ. №2-ზე მიშენებული აივნის კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2009	მოქალაქე თ. მაჭავარიანი
	ქ. თბილისში წყნეთის ქ. №14-ში მდებარე კორპუსის, I სადარბაზოს ბ. №6-ზე მიშენებული აივნის კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;	2009	მოქალაქე გ. მაისურაძე
	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) მდებარე შენობის გამოკვლევა, ექსპერტიზა	2010	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
	მოსკოვის გამზირზე №1-ში მდებარე კორპუსის II სადარბაზოს I სართულის ღია ნაწილის კონსტრუქციების მდგომარეობის გამოკვლევს და დასკვნის მომზადება;	2010	–
	ქაიროს ქუჩა №13ა-ში მდებარე სამაცივრო-სასაწყობო ნაგებობის ექსპერტიზა;	2010	–
	ქ. თილისში, საბურთალოს ქ. №43-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციების ექსპერტიზა;	2010	
	შპს „რემონტალი“-ს კუთვნილის შენობის მზიდი კონსტრუქციების ექსპერტიზა;	2010	შპს „რემონტალი“
	შპს „ინფინიტი“-ს კუთვნილის ქ. თბილისში ალ. ყაზბეგის გამზირი №26/3ბ-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა;	2010	შპს „ინფინიტი“
	ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონში კახეთის გზატკეცილზე შპს „ელსავაკო“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე ბიზნეს ცენტრის ნაგებობის რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციების სიმტკიცის შემოწმება;	2010	შპს „ელსავაკო“
	ქ. მარნეულში, გიორგაძის ქ. №3ა-ში მდებარე, მოქალაქე ლელა ხარშილაძის სარგებლობაში	2010	მოქალაქე ლელა ხარშილაძე

1	2	3	4
	არსებულ ბინა №9-ზე განხორციელებული მიშენების მდგრადობის შემოწმება;		
	ქ. მარნეული, გამსახურდიას ქ. №3-ში მდებარე ერთ-სართულიანი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით;	2010	
	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) მიმდინარე მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა;	2010	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“
	ფსიქიკური დაწესებულებების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის შერჩეული შენობა-ნაგებობების ტექნიკური და კონსტრუქციული მდგრადობის შესწავლა: – ქ. თბილისი სს „აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი“ ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №18/20 მარცხენა ფლიგელის დამხმარე შენობა; – ქ. რუსთავში, წმ. ნინოს ქ. №5, ამბულატორიული მეთვალყურეობისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრის შენობა; – ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ. №21ა, არსებული კომპლექსის 5 სართულიანი შენობა;	2011	–
	ბილაინის ანძების ტექნიკური ზედამხედველობა;	2012	შპს „გ და თ სერვისი“
	ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ. №2-ში მდებარე სს „თიბისი ბანკი“-ს კუთვნილი შენობა-ნაგებობების გამოკვლევა;	2012	სს „თიბისი ბანკი“
	ქ. თბილისში, მიცკევიის ქ. №9-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობა) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;	2012	შპს „ბეგი/ჯორჯია“
	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ობიექტების (ქ. რუსთავი, გაგარინის 12, ფასონური სხმულების საამქრო; ბლუმსებისა და სლიაბების საწყობის მიშენება 48 გრძ.მ-ზე 15 ტ. რკალური ღუმელის განთავსებისათვის) 15700 მ2 საწარმოო ფართის კარკასისა და	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“

1	2	3	4
	კონსტრუქციული ელემენტების სრული ინსტრუმენტული გამოკვლევა;		
	შპს „რუსმეტალი“-ს კუთვნილი საწარმოო შენობის გამოკვლევა;	2012	შპს „რუსმეტალი
	ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის რკინაბეტონის კონსტრუქციების სიმტკიცის განსაზღვრა და საპროექტოსთან შესაბამისობის დადგენა;	2012	შპს „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპ“
	ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №2-ში მდებარე მრავალფუნქციური შენობის ავტოფარეხის ოთხი სართულის ტორსებზე ღიობების გამოღების და პანდუსის მოხსნის მიზნით გაძლიერების პროექტის მომზადება;	2012	შპს „ინ-სი“
	ქ. თბილისში, ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტის, რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის შენობის მზიდი კონსტრუქციების და საძირკვლის გამოკვლევა;	2012	შპს „მარინა ბიჩ ქლაბ ბათუმი“
	ქ. რუსთავში მდებარე შპს „რუსმეტალი“-ს კუთვნილი ერთმალიანი საამქროს სახურავის წიბოვანი ფილების გამოკვლევა;	2012	შპს „რუსმეტალი“
	ქ. თბილისი, ალექსანდრე გობრონიძის №27-ში მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების პროექტის და კიბის, პანდუსის და გადახურვის მოწყობის კონსრუქციული პროექტის მომზადება;	2012	შპს „№2 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“
	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველაზე მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების პროექტის და კიბის, პანდუსის და გადახურვის მოწყობის კონსრუქციული პროექტის მომზადება;	2012	შპს „თბილისის №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“
	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ობიექტების (ორი რკინაბეტონის ხიდის: წიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიის მარის არხის ხიდი; დამკვეთის ცენტრალური ადმინისტრაციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ხიდის) გამოკვლევა;	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“

1	2	3	4
	შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ფოლადსადნობი საამქროს კარკასის ინსტრუმენტალური გამოკვლევა 45-87 ღერძებში, ი-კ-ლ მალები, საერთო ფართობით 15120 მ^2;	2012	შპს „რუსთავის ფოლადი“
	ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №48-ში კორპუსი №10-ის მიმდებარედ ერთსართულიანი ნაგებობის შიდა წყლის მილების ხანდაზმულობის დადგენა;	2012	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
	დუშეთის რაიონში, სოფელ სეთურებში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №71.35.47.024) მშენებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი პროექტთან შესაბამისობისა და მდგრადობის დადგენის მიზნით;	2013	შპს „Green Wall Development“
	- შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი ფართების სრული ინსტრუმენტალური გამოკვლევა;	2013	შპს „რუსთავის ფოლადი“
	- ხონში არსებული ტერიტორიის შემოღობვის შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა;	2013	შპს „LAV-TRAVEL“
	ბმ ამხანაგობა „აისი“-ს კუთვნილი ობიექტის, მდებარე ქ. თბილისი, აღმაშენებლის 151-ის კორპუსის სადარბაზოს რემონტის შესრულებული სამუშაოების (ფორმა №2) ექსპერტიზა;	2014	შპს „ჯეოგარანტი“
	ქარელის მუნიციპალიტეტში (სოფლები ავლევი, ბრეძა, თამარაშენი, კოდა, რუისი) ამბულატორიების საძირკვლის მოწყობის შესრულებული სამუშაოების (ფორმა №2) ექსპერტიზა;	2015	შპს „სმ ბილდინგ კომპანი“
	ქ. თბილისი, ლიხაურის შესახვევი №9-ში შესრულებული სამუშაოების მოცულობების ექსპერტიზა;	2015	ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მეცნიერება-2005“
	ქ. თბილისი, გლდანი (ნაკვეთი 074, კვარტალი 12, სექტორი 13, ზონა 72), მშენებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ექსპერტიზა პროექტთან შესაბამისობის დადგენის, მისი პროექტთან შესაბამისობაში მოყვანის ხარჯების დადგენისა და დარჩენილი სამუშაოების შესრულების ხარჯთაღრიცხვის შედგენის მიზნით;	2015	მოქალაქე მარინა ნიქაბაძე
	ბმ ამხანაგობა „ელექტროტრანსპორტი“-ს ობიექტის, მდებარე ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი,	2015	იმ „ვახტანგ ხინიკაძე“

1	2	3	4
	კორპუსი №33 I, II, III, IV სადარბაზოების შესრულებული შიდა სარემონტო სამუშაოების მოცულობების ექსპერტიზა;		

დოცენტის ატესტატი

№ 001143

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი № 3 15. 10. 2004;)

გიორგი ცხებაძეს

მიენიჭა

დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება
05. 23. 17; ხაშენებლო მექანიკა;
სპეციალობით

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ატესტატი გასცა
საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ

პროფესორთა საბჭოს
თავმჯდომარე:

სწავლულ ექსპერტთა საბჭოს
თავმჯდომარე:

CERTIFICATE OF A DOCENT

№ 001143

Georgian Technical University

By decision of the Professors' Board
(Protocol № 3 of 15. 10. 2004;)

the scientific-pedagogical title of the Docent
by specialization of 05. 23. 17; Structural Mechanics

WAS CONFERRED ON

Demuri Dabatadze

On the grounds of this decision the certificate has been issued
by the Board of Academic Experts of Georgia

(Seal)

Chairman of the Board of Professors R. Khurodze

Chairman of the Board of Academic Experts G. Kharadze

საქართველოს ეროვნულ და სოციალურ
ურთიერთობათა აკადემია

დიპლომი №248

აკადემიის საერთო კრების 2004 წლის
27 ივნისის გადაწყვეტილებით

ბ-ნი დემურ ტაბატაძე

არჩეულია საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის

აკადემიკოსად

აკადემიის პრეზიდენტი
გ.ჯ.ჟვანია

მთავარი სწავლული მდივანი
გ. ძმარაძელია

გაცემის თარიღი: 07.07.2004

АКАДЕМИЯ НАЦИОНАЛЬНЫХ И СОЦИАЛЬНЫХ ОТНОШЕНИЙ ГРУЗИИ

ДИПЛОМ №248

Постановлением собрания Академии нац. и соц. отношений Грузии
(постановление от 27.06.2004)

Г-н Демур Табатадзе

избран действительным членом Академии

АКАДЕМИКОМ

THE ACADEMY OF NATIONAL AND SOCIAL RELATIONS OF GEORGIA

Mr. Demur Tabatadze

ACADEMICIAN

Президент
Г.К. Жвания

Гл.ученый секретарь
В.Кикнадзе

Выдан: 07.07.2004

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

ТН № 069423

Москва 14 марта 1984 г.

Решением
Совета в Грузинском НИИ энергетики
и гидротехнических сооружений
от 28 октября 1983 г. (протокол № 5)

присуждена ученая степень

Табатадзе Думури Владимировичу

КАНДИДАТА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель совета

Ученый секретарь совета

დიპლომი

ვ № 001063

ეს დიპლომი მიეცა ტაბატაძეს
დემური ვლადიმერის-ძეს
მასზე, რომ იგი 1966 წელს შევიდა ლენინის
სახ. ქართის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1971 წელს დაამთავრა
ლენინგრადის ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და საბოქალაქო
მშენებლობა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1971 წ.
30 - მაისის გადაწყვეტილებით
ტაბატაძეს დ. ვ. მიენიჭა
ინჟინერი-მშენებლის კვალიფიკაცია.
სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
ბ. პ. რექტორი
მდივანი
ქალაქი თბილისი 1971 წ. 8 ოქტომბერი
სარეგისტრაციო № С-П-300

Грузинский яз.

ДИПЛОМ

№ 001063

Настоящий диплом выдан Табатадзе
Демури Владимировичу
в том, что он в 1966 году поступил
в Грузинский ордена Трудового Красного
Знамени политехнический ин-т им. В. И. Ленина
и в 1971 году окончил полный курс
названного института
по специальности
Промышленное и гражданское
строительство
Решением Государственной экзаменационной
комиссии от 30 июня 1971 г.
Табатадзе Д. В.
присвоена квалификация
Инженера строителя
Председатель Государственной
экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь
М. П.
Город Тбилиси 8 октября 1971 г.
Регистрационный № С-П-300

Московская типография Гознака. 1963.

АТТЕСТАТ
СТАРШЕГО НАУЧНОГО СОТРУДНИКА

СН № 069576

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР

от 15 мая 1991 г. (протокол № 15с/1)

Табатадзе Дмитрию Владимировичу

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

СТАРШЕГО НАУЧНОГО СОТРУДНИКА

ПО СПЕЦИАЛЬНОСТИ

„Строительная механика"

Зам. Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ბაგებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ს.კ. 01.14.06.007.045 კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

ქ. თბილისში, ბაგებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შედგება : ნულოვანი სართულისაგან, რომელშიც განთავსებულია ავტოფარეხი, პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია ნაწილობრივ ავტოფარეხი და ნაწილობრივ საცხოვრებელი ბინები, მესამე სართულზე განთავსებულია ნაწილობრივ კომერციული ფართები და ნაწილობრივ საცხოვრებელი ბინები, მეოთხე სართულზე განთავსებულია ორსინათლიანი კომერციული ფართი, ხოლო ზემოთ 16 საცხვორებელი სართული.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექნიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა - 8 ბალი

2. ქარის დატვირთვა 50 კგძ/მ^2

3. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 70 კგძ/მ^2

საძირკვლის ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა.

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს 1 მ. დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯები სიგრძით 6-22 მეტრი, რომლებიც გადაკრული არის მონოლითური შემკრავი კოჭებით, კვეთით 1X1 მ-ზე.

სარდაფის კედლები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 30 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითური კარკასი, სვეტები (60X90, 60X80, 60X70, 60X60, 50X60, 50X50) სმ, რიგელები -(50X60, 60X60, 60X80) სმ,

რკინაბეტონის მონოლითური ფილა (H=22 სმ).

რკინაბეტონის მონოლითური დიაფრაგმები 20 და 30 სმ.

კიბეები - რკინაბეტონის მონოლითური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 09.10.2020 წ. დადგენილება №000390 მიერ დაფიქსირებულია ხარვეზები : -10.20 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების კვეთები, გაზრდილია მონოლითური კედლების რაოდენობა, '5-4' 'ე-გ' ფილაში დამატებით მოწყობილია დიობი. აზრდილია რიგელების რაოდენობა, კოლონების ნაწილს მონაცვლებული აქვს ადგილი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტრუქციული პროექტის დამუშავებისას მოხდა ცვლილებები კომპიუტერული გაანგარიშების საფუძველზე, რაც იმ მომენტში არ აისახა უკვე დასრულებულ პროექტის არქიტექტურულ ნაწილში. თავიდან დამუშავებულ პროექტის არქიტექტურულ ნაწილში ამ ეტაპზე ყველა ეს ცვლილება უკვე გათვალისწინებულია, აქედან გამომდინარე პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილები იმყოფებიან სრულ შესანამისობაში.

ხარვეზებში ასევე დაფიქსირებულია ფასადის ზოგიერთ ადგილზე ფრანგული აივნების მოწყობა რაც კონსტრუქციულ ნაწილში გათვალისწინებულია, ასევე დაფიქსირებულია სხვა ხარვეზები, რომელთა შორის არის ვიტრაჟების გაბარიტების, მდებარეობის და რაოდენობის ცვლილება, ასევე კედლის სისქის გაზრდა და აივნებზე დამატებითი გამყოფი კედლების მოწყობა, ლიფტის შახტის და სამანქანო განყოფილების მდებარეობის და გაბარიტების მცირე ცვლილება, კიბის უჯრედის გაბარიტის ცვლილება.

ყველა ეს ცვლილება გათვალისწინებულია პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში.

ყველა სხვა ხარვეზი, რომელიც დაფიქსირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 09.10.2020 წ. დადგენილება №000390-ში წარმოადგენს პროექტის არქიტექტურული ნაწილის ხარვეზს, რაც პროექტის კორექტირებულ არქიტექრულ ნაწილში გათვალისწინებულია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კონსტრუქციული ხარვეზებით გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინებით შესრულებულია გაანგარიშება გამოთვილითი კომპლექს : "Lira sapr 2016" -ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების დაცვით და ეძლევა ცალსახად დადებითი შეფასება.

საკონსტრუქტორო განყოფილების

მთავარი სპეციალისტი გ. რეხვიაშვილი

21.10.2020 წ

საკუთარი მოხაზით

სახელი, გვარი:	**გიორგი რეხვიაშვილი**
დაბადების თარიღი	24 ივნისი, 1960 წ
დაბადების ადგილი:	რუსეთი, ქ. კისლოვოდსკი
მოქალაქეობა:	საქართველოს მოქალაქე
ოჯახური მდგომარეობა:	დაქორწინებული
შვილები:	3 ქალიშვილი
სახლის მისამართი:	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 51, კორპ 2, ბ. 31
	ტელეფონი: (995 32) 29 43 64
სამსახურის მისამართი:	საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №2; ტელეფონი: (995 32) 237 52 28

განათლება:

1978-1983 წ.წ. საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი,
სპეციალობა - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

პროფესიული გამოცდილება:

1983 წლიდან 2010 წლამდე - სს „საქქალაქმშენპროექტი"- ინჟინერი, წამყვანი ინჟინერი, ჯგუფის ხელმძღვანელი, მთავარი სპეციალისტი-კონსტრუქტორი;

2010 წლის იანვრიდან დღემდე – შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი" - მთავარი სპეციალისტი-კონსტრუქტორი;

მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:

- დას. საქართველოში მიწისძვრით დაზიანებული რაიონების აღდგენა;
- 19 ადმინისტრაციული, საკულტო, გასართობი და კვების ობიექტი
- მრავალი საცხ. სახლი, კოტეჯი, ბენზოგასამართი სადგური, ოფისი, საცხ. სახლების დაშენების პროექტები

ერთობლივი პროექტები:


- მაკდონალდსის რესტორანი დ. აღმაშენებლის გამზირზე, თბილისი;
- ქართულ ამერიკული სკოლა „მზიურის" ტერიტორიაზე, თბილისი;
- კათარზისის თავშესაფარი ისნის რაიონში, თბილისი;
- საბაჟო სადგურები „წითელი ხიდი" და „ყაზბეგი" (ინგლისურ-ქართულ ენოვანი პროექტირება კონსტრუქციული ნაწილის. ექსპერტიზა გაიარა ვისბადენისა და ვაშინგტონის ოფისებში);
- საბაჟო „ყაზბეგის" გაბიონების საყრდენი კედლები მდ. თერგზე;
- ყაზარმები და სამეთაურო პუნქტები საქ. სხვადასხვა რეგიონში;
- აჭარისა და იმერეთის რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები;
- ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრება;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „ვალე";
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფი";
- 10-14 სართულიანი საცხოვრებელი სახლი თამარაშვილის ქუჩაზე (უცხო ენების ინსტიტუტის უკან);
- 16 სართულიანი ვარსკვლავების სახლი ყიფშიძის ქუჩაზე;
- 15-16 სართულიანი მრავალფუნქციური ცენტრი აველაბარში, ქეთევან წამებულის გამზირისა და შაჟი ზღვის ქუჩის გადაკვეთაზე;
- 6 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ტაბიძის და ბარნოვის ქუჩებზე და „მზიურის" ტერიტორიაზე;

- „აოსის" 22 საოთულიანი სავაჭრო ცენტრი (სიმაღლით 82 მ) ქ. ბათუმში;
- 410-ბინიანი 18 სართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში, ხიმშიაშვილის ქ.;
- საცხოვრებელი სახლები ქავთარაძის ქუჩაზე;
- „არსის" სავაჭრო ცენტრი – ქარვასლა ქ. თბილისში;
- „ოლიმპიური ვარსკვლავის" მრავალფუნქციური ობიექტი საბურთალოს ბაზრის ტერიტორიაზე (32-სართულიანი საოფისე ნაწილით);
- „მუხიანის ვარსკვლავის" სავაჭრო ცენტრი მუხიანში;
- 25-სართულიანი საცხოვრებელი სახლი მიშველაძის ქუჩაზე, ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- „დრიმ თაუნი" ქავთარაძის ბაზრის ტერიტორიაზე, 22-25 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები;
- თბილისში 12 ავარიული საცხოვრებელი სახლის აღდგენა გამაგრების პროექტის ექსპერტიზა;
- ონის რაიონში მიწისძერის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენა-გამაგრების პროექტები;
- 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების ტიპიური და მიბმის პროექტები.
- ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, 9 საყრდენი კედლის აღდგენა-მოწყობა;
- საავადმყოფოების მშენებლობის ზედამხედველობა;
- სოციალური მომსახურების ცენტრები საქართველოს მასშტაბით;
- დაბა სტეფანწმინდაში სასტუმრო „ყაზბეგი"-ს რეკონსტრუქცია;
- საქ. უზენაესი სასამართლოს რეკონსტრუქცია (II და VI სართ).

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (თავისუფლად), ინგლისური (სუსტად)

კომპიუტერის ცოდნა: AutoCAD, Exsel, Word

დირექტორი ბ. მირიანაშვილი



დიპლომი

ЛВ № 050495

ეს დიპლომი მიეცა გიორგი
თეიმურაზის ძე ხვედელიანს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1983 წელს დაამთავრა
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ჩაშენებული
და სამოქალაქო შენობების

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1983 წ.
„ 6 “ ივნისის გადაწყვეტილებით
გიორგი ხვედელიანს მიენიჭა ინჟინერ-
შენების
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ქალაქი თბილისი 1983 წ. „ 24 “ VI

რეგისტრაციის № 2201

Грузинский кн.

ДИПЛОМ 61

ЛВ № 050495

Настоящий диплом выдан Хведелиани
Георгию Отаровичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В. И. Ленина
и в 1983 году окончил полный курс
названного
института
по специальности промышленное
и гражданское
строительство
Решением Государственной экзаменационной
комиссии от „ 6 “ июня 1983 г.
Хведелиани Г. О.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „ 24 “ VI 1983 г.

Регистрационный № 2201

Московская типография Гознака. 1983.

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

5006120020

№ 5006120020
13/10/2020 წ.

შპს „ნირან პროპერტის დეველოპმენტი"- ს
წარმომადგენელს

გიორგი მაისურაძეს

თბილისი, ნ.ყიფშიძის ქ. №9 , ბინა №46

ბატონო გიორგი,

თქვენი 2020 წლის 08 ოქტომბრის განცხადების (ბიუროს რეგისტრაციის ნომერი 1006705520) პასუხად წარმოგიდგენთ, სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მომზადებულ 2017 წლის 10 აგვისტოს №003881217 ექსპერტის დასკვნის სათანადო წესით დამოწმებულ ასლს

დანართი: ექსპერტის დასკვნის ასლი - 09 ფურცელი

პატივისცემით,

ტარიელ ზამბახიძე
იურიდიული სამმართველოს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5006120020

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____
(ხელმოწერა)

თარიღი 13.10.2020წ.

003881217

ექსპერტის დასკვნა № 003881217

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს ნირან პროპერტის დეველოპმენტი

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ბესიკის ქ., №4, ბ. 62

სახელი და გვარი: სალომე გორგომე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ანატოლი გოგოხია / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 45 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, ჩაატაროთ ექსპერტიზა შპს ''ნირან პროპერტის დეველოპმენტი''-ს საკუთრებაში არსებულ ობიექტზე. კერძოდ ქ. თბილისში, წყნეთის (ს/კ 01.14.06.007.045) გზატკეცილზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის შენობაში 40 ცალ სვეტზე, 4 ცალ რიგელზე, გადახურვის 4 ფილაზე და დაგვიდგინოთ გამოყენებული ბეტონის სიმტკიცე, არმატურის დიამეტრი (რაოდენობა), კარკასის შევსების კედლებში ბლოკის მარკიანობა და მათი კონსტრუქციულ პროექტთან შესაბამისობა. ასევე არმატურის მწარმოებელი ქვეყანა.

შემოსვლის თარიღი: 05/04/2017 წ

გასვლის თარიღი: 10/08/2017 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, წყნეთის (ს/კ 01.14.06.007.045) გზატკეცილზე მდებარე მშენებარე საცხოვრებელ შენობაში დეტალურად შემოწმებული მზიდი რკ/ბეტონის ელემენტების: სვეტების, რიგელების და ფილების ბეტონის სიმტკიცე, არმატურის დიამეტრი და რაოდენობა წარმოდგენილ კონსტრუქციულ პროექტთან შესაბამისობაშია. რაც შეეხება კარკასის შევსების საკედლე ბლოკების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ზოგიერთ სართულებზე კონსტრუქციული პროექტის მიხედვით სამუშაოები დარღვევებით არის შესრულებული (იხილე კვლევის ნაწილი).

ანატოლი გოგოხია

გამოკვლევა

2017 წლის 04 მაისს, 12 და 13 ივნისს ვიზუალურად და დეტალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, წყნეთის (ს/კ

01.14.06.007.045) გზატკეცილზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა.

საცხოვრებელი კორპუსის დათვალიერებით ჩანს რომ შენობა დასრულებული არ არის (ფოტო 1). პროექტით გათვალისწინებული მიწის ზედა 17 და მიწის ქვეშა 3 სართულის ნაცვლად შესრულებულია 13 სართული. კარკასის შევსება განხორციელებულია წვრილი სამშენებლო ბლოკების წყობით (ფოტო 2-:-4). გარკვეული მიზეზების გამო სამუშაოები დროებით შეჩერებულია. დამკვეთის მოთხოვნით პროექტთან შესაბამისობის დადგენისათვის აუცილებელი გახდა სვეტების, რიგელების და გადახურვის ფილების დეტალური გამოკვლევა და დაიგეგმა კვლევისათვის სჭირო ღონისძიებები. კერძოდ: კონსტრუქციული ელემენტების ბეტონის სიმტკიცეზე შემოწმება, არმატურების დიამეტრის (რაოდენობა) და ბეტონის დამცავი შრის განსაზღვრა. მშენებარე ობიექტიდან ლაბორატორიაში გადმოტანილი საკედლე და სატიხრე ბლოკის (ორი ცალი) მარკიანობის დადგენა. სამუშაოები შესრულებული იქნა ბიუროს ნორმატიული, ტექნიკური და ექსპერიმენტალური კვლევების სამმართველოს სპეციალისტების და ექსპერტის ლეონიდ ოკუჯავას მიერ. კვლევის შედეგები ცხრილების სახით მოცემულია დანართად (იხ. დანართი 1).

კვლევის მონაცემები შედარებული იქნა პროექტთან მიმართებაში, რომლის მიხედვით დადგინდა შემდეგი:

რკ/ბეტონის 40 სვეტიდან ბეტონის კლასმა 30-ში შეადგინა B30, 5-ში B27.5 და 5-ში B25. პროექტით B25;

რკ/ბეტონის 4 რიგელიდან ბეტონის კლასმა 1-ში შეადგინა B35, 3-ში B25. პროექტით B25;

რკ/ბეტონის 4 ფილიდან ბეტონის კლასმა ოთხივეში შეადგინა B30. პროექტით B25;

ადგილზე ჩვენს მიერ შემოწმებული მზიდი კონსტრუქციებში არმირება შეესაბამება პროექტით მიღებულ არმირებას. აღსანიშნავია რომ პროექტში მიღებული A-III კლასის არმატურის ნაცვლად ადგილზე გამოყენებულია A500 კლასის არმატურა.

შედარების მონაცემების საფუძველზე ჩანს რომ შემოწმებული ყველა რკ/ბეტონის ელემენტის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მშენებარე ობიექტიდან (-10.8 მ. ნიშნულზე დაწყობილი) გადმოტანილი საკედლე ბლოკების გამოცდების შედეგად, ტიხრის ბლოკის სიმტკიცე კუმშვაზე აღმოჩნდა M25, ხოლო საკედლე ბლოკის M 20, რაც არ აკმაყოფილებს „სესმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.-09) მუხლი 15, პ 1დ-ს მოთხოვნებს. თვით ბლოკების წყობა შესრულებულია უხარისხოდ, ბლოკებს შორის სიცარიელე ბევრგან ცემენტის შერეული ხსნარით შევსებული არ არის (ფოტო 5-:-8). ადგილზე დეტალური შემოწმებით დადგინდა, რომ წყობის სვეტთან მიმაგრების კვანძი (კოსტრუქციულ პროექტი ფურც. რკ-103) შესრულებული არ არის. გარდა ამისა ბლოკის წყობის კედელი რკ/ბეტონის რიგელთან გაჭედილი არ არის (ფოტო 9; 10). წინა და უკანა ფასადზე 6.8, 17.0 და 27.2 ხოლო უკანა ფასადზე -3.4 ნიშნულებზე მოწყობილი რკ/ბეტონის მონოლითური გადახურვის კონსტრუქცია პროექტთან შეუსაბამოა, კონსოლურ ფიაში შესრულებული არ არის რკ/ბეტონის რიგელი, რაც დარღვევაა.

ზემოთ ჩამოთვიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

ქ. თბილისში, წყნეთის (ს/კ 01.14.06.007.045) გზატკეცილზე მდებარე მშენებარე საცხოვრებელ შენობაში დეტალურად შემოწმებული მზიდი რკ/ბეტონის ელემენტების: სვეტების, რიგელების და ფილების ბეტონის სიმტკიცე, არმატურის დიამეტრი და რაოდენობა წარმოდგენილ კონსტრუქციულ პროექტთან შესაბამისობაშია. რაც შეეხება კარკასის შევსების საკედლე ბლოკების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ზოგიერთ სართულებზე კონსტრუქციული პროექტის მიხედვით სამუშაოები დარღვევებით არის შესრულებული (იხილე კვლევის ნაწილი).

ანატოლი გოგოხია

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003
2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.
3. ГОСТ 22690-88, ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრა ურღვევი კონტროლის მექანიკური მეთოდებით

პედაგოგიკური კვლევისა და პროფესიული განვითარების ცენტრი

CENTER of EDUCATIONAL RESEARCH and PROFESSIONAL DEVELOPMENT (CERPD)

ასოციაციასა "სკოლა – ოჯახი – საზოგადოება"
SCHOOL–FAMILY–SOCIETY ASSOCIATION

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
Grigol Robakidze University

სერტიფიკატი

დემურ ტაბატაძე

შეისწავლა კურსის „უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შედგენა და განვითარება" გავლისა და საკურსო ნაშრომის წარმატებით შესრულების შედეგად

„კურსი შედგება ერთი ორდღიანი ტრენინგისა და დამოუკიდებელი სამუშაოსგან.

კურსი მოიცავს 15 საათს.

Certificate

Demur Tabatadze

has satisfactorily met all of the requirements of

University Curriculum Development Course

This 15 hour course offers professional development training that promotes outcome-centered curriculum development for critical thinking and active learning. It is designed by the School-Family-Society Association and coordinated by the Center of Educational Research and Professional Development.

მეცნიერული კვლევის და პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი

ასოციაციის პრეზიდენტი

CENTER OF EDUCATIONAL RESEARCH AND PROFESSIONAL DEVELOPMENT 205065127

თბილისი, 2006